თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3250416

ნომერი: AR1498486

თარიღი : 25.04.2017

გაცემის თარიღი : 08.05.2017

გაცნობის თარიღი : 08.05.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N18-24-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 03/039 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N18-24-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 03/040 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N18-24-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N 24 , მიმდებარედ , ნაკვეთი 03/034 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N18, N20, N22, N24, N26 , N24-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ფანცხავა პ/ნ 01001017652
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 28 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
ამჟამად "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" აღნიშნავთ, რომ გსურთ დროებითი ღობის მოწყობა, რომელიც გამოყენებული იქნება სამშენებლო სამუშაოების პერიოდში. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული საპროექტო ღობე წარმოადგენს მშენებლობის პერიოდისათვის განკუთვნილ შემომსაზღვრელ ღობეს, აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო დროებითი ღობე გათვალისწინებული უნდა იყოს არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის კალენდარულ გრაფიკში. ხოლო რაც შეეხება ლითონის ბადე-ღობის მოწყობას, ვინაიდან მისი განთავსებით ხდება მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილის გამოყოფა მთლიანი მიწის ნაკვეთიდან (იმიჯნება მიწის ნაკვეთი) სამსახურს მისი განთავსება შესაძლებლად არ მიაჩნია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.